18
ნოემბერი
შაბათი,
1961 წ.
№ 186 (1822)
გაფოცეების მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ნ. გაფრინდაშვილი

ვრნიაჩკა-ბანია. (ტელეფონით). გუშინ პრეტენდენტებს დასვენების დღე ჰქონდათ. მაგრამ არავის, მათ შორის არც გაფრინდაშვილს, არ დაურღვევია დღის განრიგი, რომელსაც ისინი მტკიცედ იცავენ მთელი ტურნირის მანძილზე.

სუუზმის შემდეგ მონაწილენი და მწვრთნელები ავტობუსით გავემგზავრნენ ექსკურსიაზე ვრნიაჩკა-ბანიას მახლობელ მთებში. სუუთა ბერმა, ვოჩის მთის წარმტაცმა ბუნებამ დიდი სიამოვნება მიანიჭა მოჭადრაკეებს. ნასადილევს ყველამ მონახა გასართობი, ხოლო ნონამ ძილი არჩია.

— ნონას ადარაფერი ეშინვა დაღლილობისა,—თქვა შიშოვმა. — მას კვლავინდებურად სწყურია თამაში.

ტურნირის ცხოვრებაში არის ცვლილებებიც. ამერიკელმა ლეინმა გაიჩინა მწვრთნელი. ესაა 21 წლის ოუგოსლაველი ოსტატი მილიჩი. აშშ-ს ჩემპიონს ეხუმრებიან — ჭმრის ნებართვა გვიან მიიღო, თორემ ადრე უფრო სჯობდებოდა დამხმარე, ვიდრე ახლაო. მწვრთნელი ჩამოუვიდა ჰეემსკერკსაც, მაგრამ იგი უფრო ჟურნალისტია. მას ბ. ტალზე წიგნიც კი აქვს დაწერილი. ჰოლანდიის ჩემპიონს თამაშში დამჯერებლობა დაეტყო და მან ჰოლიკრონიადეს კარგად დაგეგმილი წინსვლა ისე მოულოდნელად შეაჩერა, რომ რუმინელმა მოძველინო პარტიაც წააგო.

— ნედელკოვიჩს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, მაგრამ ვოლპერტთან თამაშის შემდეგ მათი რიცხვი შეიხელდა. ეს მობდა იმიტომ, რომ ნედელკოვიჩი ჯიუტად თამაშობდა მოგებაზე. როგორც ყოველთვის, ასეთ მონდომებას კინაღამ საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა. ვოლპერტმა ვერ შეამჩნია მოგების შანსი და ამით გაჩარებული ნედელკოვიჩი ყაიმს დასჯერდა.

— არ უთხრათ ვოლპერტს, რომ იგი იგებდა,—გვთხოვა მისმა მწვრთნელმა კონდრატიევმა. — გუნება არ გაუფუჭდეს, თორემ ვეღარ მოუგებს ლაზარევიჩს. ვოლპერტს თვითონ შეუმჩნევია თავისი შეცდომა, მაგრამ არ გაამჩნია. როცა მან მოუგო ლაზარევიჩს, მხარეები „შერიგდნენ“.

რას წერენ გაზეთები? ყველა გაზეთის მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ბრძოლა პირველი ადგილისათვის ძირითადად გაიმართება სამეოთა მოჭადრაკეებს შორის. გაფრინდაშვილი საკმაოდ უსწრებს კონკურენტებს, რომლებსაც მხოლოდ იმის იმედიღა დარჩათ, რომ შეიძლება ქართველ ოსტატს სადმე „ფეხი“ დაუცდეს. მაგრამ ეს ალბათ არ მოხდება. ადვილი მოსალოდნელია, — წერს ერთი სპორტული მიმომხილველი, — ე. ბიკოვის მეტოქე ადრე იქნება ცნობილი, ვიდრე ტურნირი დამთავრდება.

უკანასკნელ საათს!

დღის 4 საათზე (თბილისის დროით საღამოს 7 საათზე) მსაჯებმა ჩართეს საათები და დაიწყო XIII ტური. ყველა დაფაზე ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა. ვის არ უნდა ფინიშზე მაინც ისახელოს თავი? მაგრამ ლიდერებს თავის „გასაჭირიც“ ყოფნით. მათ ნება არა აქვთ უკლონ ტემპს. ამიტომ ლიდერთა პარტიებმა თავიდანვე მიიპყრეს ყურადღება.

გერმანელმა რინდერმა მოინდომა გაფრინდაშვილისათვის თავს მოეხვია დაცვა. ამ მიზნით ესპანურ პარტიაში მან გამოიყენა ე. წ. მარშალის იერიში, რომელშიც შავები პაიკის შეწირვით მტკიცედ ეუფლებიან ინიციატივას. გაფრინდაშვილმა მშვიდად მიიღო შემოთავაზებული პაიკი, რამაც გაკვირვება გამოხატა რინდერის სახეზე. „ალბათ, თანხმია გაუკლოს იერიშს“,—იფიქრა მან და მწარედაც შეცდა. ქართველმა ოსტატმა რამდენიმე სვლის შემდეგ პაიკიც დაუბრუნა და ლაზიერებიც გაცვალა. თითქოს ყაიმის უსიტყვო შეთავაზება იყო. მაგრამ, როცა ნონამ მცირე ძალებით შემტევი ოპერაციები წამოიწყო, თვითონ რინდერს მოუხდა დაცვაზე თამაში. გაფრინდაშვილმა ჯერ ერთი პაიკი მოიგო, შემდეგ მეორე.

— შეხედეთ ნონა, თურმე ენდშპილსაც ჩინებულად თამაშობს, — ამბობდნენ იუგოსლაველი ოსტატები.—ნამდვილად, იგი ამ ტურნირისათვის კი არ მომზადებულა, არამედ ბიკოვასთან სათამაშოდ, — იხუმრა ოსტატმა მინიჩმა.

რინდერს არ მოუწია დიდხანს ლოდინი. პარტიის ტექნიკური ნაწილი, უპირატესობის რეალიზება გაფრინდაშვილმა ჩინებულად ჩაატარა. 43-ე სვლაზე გერმანელმა გაუწოდა ხელი ნონას და ღიმილით უთხრა:

—გილოცავთ. მე პირველი არა ვარ და არც უკანასკნელი ასეთ მდგომარეობაში.

ბორისენკო კვალდაკვალ მისდევს გაფრინდაშვილს. მან ადვილად დაამარცხა ჰუნდსურენი.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

ლეინ-კარაკაშნეს შეხვედრა არ შედგა უკანასკნელის ავადმყოფობის გამო.

XIII ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 10,5 ქულა აქვს, ვ. ბორისენკოს — 8,5 ქულა.

ფინიშზე უმაჯობებს ვემპს

უკანასკნელ საათს!

საათები ჩართეს...

ბაკო. (ჩვენი სპეც. კორ.). 17 ნოემბერი. საჰოთა კავშირის XXIX საჭადრაკო ჩემპიონატი დიდ ინტერესს იწვევს აზერბაიჯანის დედაქალაქში. გაზეთები ფართოდ ეხმაურებიან ამ დიდ შეჯიბრებას.

გუშინ დილით ჩამოვიდნენ ტურნირის მონაწილენი. სალამოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც გაიმართება შეხვედრები, მოეწყო საზეიმო გახსნა. სტუმრებს მიესალმნენ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ბაქოს აღმასკომის თავმჯდომარე ლემბერანსკი, კულტურის სამინისტროს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, სპორტკავშირის, საჭადრაკო ფედერაციის, მენავთობეთა წარმომადგენლები. ტურნირის მთავარმა მსაჯმა საერთაშორისო ოსტატმა იუდოვიჩმა ჩემპიონატის დებულების გაცნობის შემდეგ გამოაცხადა, რომ ჩემპიონატის მონაწილეთათვის დანიშნულია 16 სპეციალური პრიზი.

საზეიმო ცერემონიალს მოჰყვა კენჭისყრა. სატურნირო ცხრილი შეიესო ასე: 1. გროსმაისტერი მ. ტალი (რიგა), 2. საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო), 3. ოსტატი ვ. შიანოვსკი (კიევი), 4. გროსმაისტერი ი. ავერბახი (მოსკოვი), 5. გროსმაისტერი ე. ვასიუკოვი (მოსკოვი), 6. ოსტატი ი. კოცი (დონეცკი), 7. ოსტატი ა. გიპლისი (რიგა), 8. ოსტატი ვ. საკონი (ხარკოვი), 9. გროსმაისტერი პ. კერესი (ტალინი), 10. გროსმაისტერი ვ. სმისლოვი (მოსკოვი), 11. გროსმაისტერი რ. ხოლმოვი (სოჭი), 12. გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), 13. გროსმაისტერი ლ. პოლუგაევსკი (კუიბიშევი), 14. ოსტატი ა. [illegible] (ლენინგრადი), 15. [illegible] (ლენინგრადი), 16. [illegible] (ბაქო), 17. გროსმაისტერი ბ. სპასკი (ლენინგრადი), 18. ოსტატი ა. ხასინი (მოსკოვი), 19. გროსმაისტერი ბ. ტიმანოვი (ლენინგრადი), 20. ოსტატი ბ. ვლადიმეროვი (ლენინგრადის ოლქი), 21. ოსტატი ლ. შაჰოვიჩი (მოსკოვი).

ღღეს სალამოს ჟერჟინსკის სახელობის კლუბის სააქტო დარბაზში, რომელშიც 1.200 მაყურებელი ეტევა, შედგა 1 ტური. ტურნირის სტარტი აღინიშნა ბაქოელთათვის „სიურპრიზით“. აზერბაიჯანის ჩემპიონის ბაგიროვის მეფე 39-ე სვლაზე დაამამთა შამკოვიჩმა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა გიპლისი-გურგენიძის პარტია, რომელიც სიცილიური დაცვით დაიწყო. რიგელი ოსტატის ივრიშის საწინააღმდეგოდ გურგენიძემ დაცვის ახალი, მაგრამ საეჭვო სისტემა გამოიყენა. გიპლისმა შეძლო ძლაკრი ივრიშის მიღება. გურგენიძე ბევრს ფიქრობდა და სასტიკ ციტონოტში აღმოჩნდა. უკვე 27-ე სვლაზე, ძძიმე პოზიციაში, მან გადაცილა დროს და წაგება ჩაითვალა.

სპასკიმ კარგ სტილში დაამარცხა კოცი. ხოლო სმისლოვმა — პოლუგაევსკი. ყაიმით დამთავრდა ავერბახ-ტიმანოვის, ვასიუკოვ-ხასინის, საკონ-ნეკეტდინოვისა და ხოლმოვ-ბრონშტეინის შეხვედრები.

ორი პარტია გადაიდო. კერესის ლეინთან და შიანოვსკის — ვლადიმიროვთან.

მდგომარეობა XIII ტურის შემდეგ (18 ნოემბრისათვის)

მონაწილენი	№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ს. ჯუნდსუონნი (მოხლოლეთი)	1	X	0	0	0	1/2	1/2	1/2	0	0	0	0	0	0				
ა. რინდერი (გფრ)	2	1	X	0	0	1/2	1	1/2	1	0	0	0	0					0
ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია)	3	1	1	X	1/2	1/2	1	1/2	1	1/2	0	*					0	1
ე. კოლიკრონიადე (რუმინეთი)	4	1	1	1/2	X	1/2	1	1	0	0	*					1/2	0	0
ბ. ბრესერი (აშშ)	5	1/2	1/2	1/2	1/2	X	0	1	1	*					1	1/2	0	0
შ. შოდე დე სილანი (საფრ.)	6	1/2	0	0	0	1	X	1/2	*				1/2	0	1/2	1/2	1/2	0
ბ. კონარაკოვსკა (პოლონეთი)	7	1/2	1/2	1/2	0	0	1/2	X				0	1/2	1/2	1/2	1	1/2	
შ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია)	8	1	0	0	1	0	*		X			1	0	0	0	0	0	1/2
ლ. ვოლპერტი (სსრ კავშირი)	9	1	1	1/2	1	*				X	1	0	0	1/2	1	0	1/2	1
ტ. ზატულოვსკაია „	10	1	1	1	*					0	X	1	0	0	1	1	0	0
ა. ზვორიკინა „	11	1	1	*					0	1	0	X	1/2	1	1	0	1	0
ნ. გაფრინდაშვილი „	12	1	1					1	1	1	1	1/2	X	1	1/2	1	1	1/2
ვ. ბორისენკო „	13	1					1/2	1/2	1	1/2	1	0	0	X	1	1	1	1
ლ. ლეინი (აშშ)	14					0	1	1/2	1	0	0	0	1/2	0	X	1	*	**
ა. ნიკოლაუ (რუმინეთი)	15				1/2	1/2	1/2	1/2	1	1	0	1	0	0	0	X	*	
ვ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია)	16			1	1	1	1/2	0	1	1/2	1	0	0	0	*	*	X	
ე. კარაკაშნე (უნგრეთი)	17		1	0	1	1	1	1/2	1/2	0	1	1	1/2	0	**			X

გულითადი მეგობრობის ვითარებაში

ჰავანა. როგორც ცნობილია, კუბაში ამჟამად სტუმრად იმყოფებიან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, რომლებმაც რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი უნდა ჩაატარონ აქ.

თავისუფლებისმოყვარე კუბის მოსახლეობა დიდ ყურადღებას იჩენს ქართველი ფეხბურთელების მიმართ. გუშინ, მატჩის დღეს, ჰავანის ცენტრალური სტადიონი „ლათინო ამერიკანო“ სავსე იყო მაყურებლებით, რომლებიც გულთბილი ტაშით შეხვდნენ სტუმრებს.

დინამოელთა წინააღმდეგ თამაშობდა კუბის ეროვნული ნაკრები გუნდი. თბილისელებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 8:0.

შეხვედრა მიმდინარეობდა უაღრესად მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში.

კალენდრით გათვალისწინებულია

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ დაამტკიცა 1962 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია ბევრი საინტერესო შეჯიბრების ჩატარება, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, ისე თბილისშიც.

მომავალი წლის დიდი კომპლექსური შეჯიბრებებიდან აღსანიშნავია სტუდენტთა საკავშირო თამაშები, რომელიც გაიმართება თბილისში (ივლისი). მაჯაში და ბაკურიანში განზრახულია სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადის ჩატარება. ამავე თვეში თბილისში მოეწყობა სსრ კავშირის პირველობის ზონალური შეჯიბრება ხელბურთში, აპრილში — ახალგაზრდა მოკრივეთა სსრ კავშირის პირველობის შესარჩევი შეჯიბრება.

მაისში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტის მოყვარულები სსრ კავშირის უძლიერეს ძალოსანთა პირად-გუნდური ჩემპიონატის მონაწილენი გახდებიან. ამავე თვეში მოეწყობა საკავშირო პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში საკავშირო შეჯიბრებები ჩატარდება როგორც ჩვენს დედაქალაქში, ისე სსრ კავშირის სხვა ქალაქებში.

ბაქო და ვრნიაჩკა-ბანია — დიდი ჭადრაკის ქალაქები
პირველი ტური — პირველი სიურპრიზები
დასვენება გადამწყვეტი იერიშის წინ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები სპორტის სხვადასხვა სექციებში იძენენ მეორე სპეციალობას. მათი სპორტული დოსტატებისათვისაქ მრავალი გამოცდილი მწვრთნელი მუშაობს.

სურათებზე: (მარცხნივ) — სპორტის ოსტატ რ. პენკოვას ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მეცადინეობა მხატვრულ ტანვარჯიშში. მარჯვნივ — ფარიკაობაში მეცადინეობას ატარებს მასწავლებელი კ. ისკანდერაშვილი.

ფოტო გ. თარალაშვილისა.

ქალაქის თასზე

თბილისის „მონკავშირის“ სტენდზე ყოველწლიურად ეწყობა ქალაქის თასის გათამაშება.

ამ დღეებში დამთავრდა მორიგი ასეთი შეჯიბრება. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ „მონკავშირის“, „ლოკომოტივისა“ და არმიელთა სამონადირეო ამხანაგობის გუნდები. ადგილიდან სროლაში არმიელმა ვ. ლავრინენკომ 100-დან 96 სამიზნე დაამსხვრია და მოიპოვა პირველი ადგილი, მეორე ადგილზე გამოვიდა ზ. მაჩხანელი („მონკავშირი“)— 94 ქულა. მესამეზე — მისი თანაგუნდელი ვ. ჯაბახიძე, რომელიც გამარჯვებულს 4 სამიზნით ჩამორჩა.

მრგვალ სტენდზე უპირატესობა ისევ არმიელ სპორტსმენთა მხარეს იყო. ვ. კონდრაცკიმ 93 სამიზნის დაზიანებით გაიმარჯვა და 1 ქულით გაუსწრო ე. ძიძიგურს. ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ ვ. ლავრინენკოსა და ი. საგანელიძეს. დამატებითი სროლის შემდეგ მე-3 ადგილი მიეკუთვნა ლავრინენკოს.

მ. ვოლფენზონი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

კვალიფიკაციას იმაღლებენ

როგორც ყოველთვის, თბილისში შინაარსიანად მიმდინარეობს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რომელიც მოაწყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ. მასწავლებლები ისმენენ ლექციებს ფიზაღზრდის თეორიაში, პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში, ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციაში, მარქსიზმ-ლენინიზმში, ისინი ეუფლებიან აგრეთვე სპორტული თამაშების, ტანვარჯიშის, ცურვის, მძლეოსნობის და სპორტის სხვა სახეობების მეთოდიკას.

რაიონებიდან ჩამოსული მასწავლებლები თავისუფალ დროს აწყობენ ექსკურსიებს თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებში, ესწრებიან წარმოდგენებს თეატრებში, კინო-ფილმებს, სპორტულ შეჯიბრებებს და თან - თავისუფალ დროს ერთმანეთს ეჯიბრებიან სპორტის მრავალ სახეობაში. ამ შეჯიბრებებში აქტიურად მონაწილეობენ ს. ლომიძე (ორჯონიკიძის რაიონი), მ. გოგიჩაიშვილი (ლანჩხუთი), გ. უჩაშვილი (დუშეთი) და სხვები.

ლ. ჯიშიაშვილი

თამაშის მაღალი კლასისათვის

ამ დღეებში დამთავრდა საქართველოს სსრ 1961 წლის ჩემპიონატი ფრენბურთში. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ჩემპიონობის ტიტულები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელმა ვაჟებმა (მწვრთნელი ასლანიდი) და ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა კოლექტივმა (მწვრთნელი ვარდიშვილი).

კარგად ჩაატარეს პირველობა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელებმა. მთელი გუნდი მოქმედებდა ენერგიულად და გაზრებულად როგორც თავდასხმაში, ისევე დაცვაში. მეორე ადგილზე გამოსულმა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა მთელ რიგ შემთხვევებში აჩვენა დამაკმაყოფილებელი თამაში, მაგრამ იგრძნობოდა ხარვეზებიც. ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელთა კაპიტანი დ. გოცირიძე ხშირად გაურბოდა კოლექტიურ თამაშს და პირად შესაძლებლობებზე ამყარებდა იმედებს. ამასთან იგი თამაშობდა არათანაბრად, ხშირად აფუჭებდა მიწოდებას. ასეთივე მდგომარეობაში იყო მისი თანაგუნდელი სემიონჩკინი. საერთოდ, გუნდი ცუდად აწყობდა ბლოკირებას, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოთამაშეები ბოიკო და ცალოევი მოედანზე თავისუფლად მოქმედებდნენ.

მესამე პრიზიორი — რუსთავის ვაჟთა გუნდი, მართალია საპატიო ადგილზე მოხვდა, მაგრამ იგი ჯერ მაღალი კლასის ფრენბურთელთა კოლექტივი არ არის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გუნდში არის ძლიერი ბირთვი. თუ ამ ბირთვს კარგად გამოიყენებენ და გვერდში კარგად მომზადებულ ახალგაზრდებს ამოიყენებენ, შეიძლება რესპუბლიკას კიდევ ერთი მაღალი კლასის ფრენბურთელთა კოლექტივი შეემატოს.

მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. ასეთი არაორგანიზებული და მოუმზადებელი გუნდი პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ჯერ არ გამოუყენია. ამას აქვე თუ დავუმატებთ, რომ ამ ინსტიტუტის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა, რომელიც წინა წლის პირველობის ჩემპიონი იყო, წელს მხოლოდ მე-7 ადგილზე მოახერხა გასვლა, ნათელი გახდება, რომ ინსტიტუტში ფრენბურთელთა ცვლაზე უკვე აღარავინ ფიქრობს. აქ ხომ გამოცდილი მწვრთნელები ა. თევოსიანი და ს. ტარახჩიანი მუშაობენ? რატომ უჭირთ მათ გუნდიდან წასული მოთამაშეების შესაბამისი ცვლის მომზადება? მიმდინარე პირველობის გათამაშების დროს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის მწვრთნელმა ს. ტარახჩიანმა ისიც კი სცადა, რომ გუნდის შემადგენლობაში თბილისის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის ფრენბურთელები გამოეყვანა. თქმა არ უნდა, რომ ასეთი მოქმედება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ფრენბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში შესაბამისად V-VIII ადგილები დაიკავეს ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და გორის კოლექტივებმა.

მოკლედ ფრენბურთელ ქალთა ტურნირის შესახებაც. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი ვარდიშვილი), მეორე ადგილი წილად ხვდა სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს (მწვრთნელი შ. მარგიშვილი). ორივე გუნდი ჯერ კიდევ ღარიბია ტაქტიკური მრავალფეროვნებით. მესამე-მეოთხე ადგილებზე გამოსული სოხუმისა და ბათუმის გუნდებში მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა (მდინარაძე, ეღენტი — ბათუმიდან, კონდაკოვა და ხამურატიდი—სოხუმიდან). ცუდად არ იყო მომზადებული მე-5 ადგილზე გამოსული ქუთაისელთა კოლექტივიც. მოთამაშეთა შორის კარგი შთაბეჭდილება დატოვეს კეკელიამ, შტაფენიუკმა და ნოვიკოვამ, მე-6-8 ადგილებზე შესაბამისად არიან: გორის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და რუსთავის ფრენბურთელები. რუსთავში ახლა ყველა პირობაა იმისა, რომ იქ ფრენბურთის განვითარებას სათანადო ყურადღება დაეთმოს, მაგრამ შედეგი — ბოლო ადგილი, სანუგეშოს არაფერს გვპირდება.

ჩემპიონატის შედეგებმა ნ[illegible]ლად გვიჩვენა ჩამორჩენა ფრ[illegible]ბურთის ტექნიკურ და ტ[illegible]ტიკურ მომზადებაში, აგრეთვე დ[illegible]დი კონტრასტი სასოფ[illegible]ლო-სამეურნეო და ფიზ[illegible]კულტურის ინსტიტუ[illegible]ტების ვაჟთა გუნდებისა [illegible] ფიზკულტურის ინსტიტუტისა [illegible] სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალ[illegible]თა გუნდებისა დანარჩენ გუნდებ[illegible]თან შედარებით. პირველობის მ[illegible]ნაწილეთა თითქმის 50 პროცენტ[illegible] მეორეთანრიგოსანი იყო და, ბუნ[illegible]ბრივია, თამაშის კლასში მკვეთრ[illegible] განსხვავება იქნებოდა.

მოახლოვებული სსრკ ხალხთ[illegible] III სპარტაკიადა გვავალდებუ[illegible]ლებს, რომ ფრენბურთის თამაშშ[illegible] საგრძნობი გარდატეხა შევიტანოთ.

ე. ანტონოვი,
მეჯიბრების მთავარი მსაჯ.



მუშა-სპორტსმენები

ისინი ერთად მუშაობენ ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში: აფრასიონ დარსალია, გენო გუჯაბიძე და დავით ზენაიშვილი.

დარსალია 1958 წელს მოვიდა აქ. მან კორპუსსამშენებლო საამქროში დაიწყო მუშაობა და სამაგალითო შრომით მალე ისახელა თავი. აფრასიონ დარსალია აირჩიეს ქარხნის პარტბიუროს წევრად, საქალაქო პლენუმის წევრად, საქალაქო საბჭოს დეპუტატად და მიაკუთვნეს კომუნისტური შრომის დამკვრელის სპპატიო წოდება.

კომუნისტური შრომის დამკვრელია გენო გუჯაბიძეც. ეს სულ ახლახან მოხდა — პარტიის XXII ყრილობის წინ. გენო ჯერ მოწაფედ იყო მექანიკურ საამქროში, ახლა კი პირველთანრიგოსანი ზეინკალია, თან მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში სწავლობს.

გენო გუჯაბიძესთან ერთად მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში დავითიც სწავლობს. დავით ზენაიშვილმა 1955 წელს დაიწყო მუშაობა ჩამომსხმელ საამქროში. ჯერ ხისდამშუშავებელ საამქროში მუშაობდა, მერე საქანგბადო-საკომპრესორო სადგურში გადავიდა.

აფრასიონი, გენო და დავითი ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში დამეგობრდნენ. ისინი შრომობენ თავდადებით.

აფრასიონ დარსალიას მეორე თანრიგი აქვს კალათბურთსა და ფეხბურთში. იგი ქარხნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრია. გენო გუჯაბიძე ჭადრაკითა და ფეხბურთითაა გატაცებული, ხოლო დავით ზენაიშვილი მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთს ეტანება.

* * *

სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნივ): ბათუმის გემთსაშენი ქარხნის მუშა-სპორტსმენები ა. დარსალია, დ. ზენაიშვილი და გ. გუჯაბიძე საამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ერთობიან ჭადრაკის თამაშით.

ფოტო და ტექსტი რ. ჩაჩუახი.

ახალი კოლექტივის პირველი წარმატებები

თერჯოლის რაიონში საწარმოო მაჩვენებლებით საერთო აღიარება ჰპოვა მექანიკურმა ქარხანამ, რომლის წამყვანი ძალაა ახალგაზრდობა. მაგრამ უკანასკნელ დრომდე აქ არ იყო ჩამოყალიბებული კოლექტივი, ამიტომ კომკავშირელებისა და ახალგაზრდების თაოსნობით, რომელთაც მხარი დაუჭირა ადმინისტრაციამ (დირექტორი ი. დარახველიძე), ჩამოყალიბდა კოლექტივი.

აქტივს მხარი აუბა ახალგაზრდობამ და მალე ქარხნის მეზობლად მოეწყო მარტივი ტიპის მოედნები, ახალგაზრდები გაერთიანდნენ სპორტულ სექციებში, გაჩაღდა მუშაობა. განსაკუთრებით აქტივობენ ფეხბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკისა და შაშის სექციები.

მუყაითმა საქმიანობამ პირველი წარმატება მოუტანა ქარხნის ფეხბურთელებს. მათ მოუგეს აკამეთის კაქის წარმოების გუნდს — 2:0 და ფრედ ითამაშეს ქვედა სიმონეთის კომბინატის გუნდთან — 2:2.

ლ. ჯმუხაძე

ლ ე ლ ო

მეორე გვ. № 186 (1822)

დასაწყისი კარგია!

ყაზახეთის რესპუბლიკის ქალაქ უსტ-კამენოგორსკში გამართულ სოფლის ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრებაზე შესანიშნავი სტარტი აიღეს ჩვენი რესპუბლიკის შტანგისტებმა.

როგორც საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი შ. კულულაშვილი გვატყობინებს, შეჯიბრების პირველსავე დღეს „მცირე გაბარიტიანი“ ძალოსნების შეხვედრაში ს. ფოლოსიანმა და რ. დათიკაშვილმა მოიპოვეს პირველი ადგილები.

მჩატე წონის ძალოსნის რ. დათიკაშვილის შედეგი აკვრაში — 133 კილოგრამი ახალი რესპუბლიკური რეკორდია.

შეჯიბრება გრძელდება.

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონატი ასე არ უნდა ტარდებოდეს

თბილისში ორ დღეს მიმდინარეობდა რესპუბლიკის 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება ძალზე არაორგანიზებულად და უფერულად ჩატარდა. ჭიდაობის მოყვარულებმა აფიშების საშუალებით შეიტყეს, რომ ამ შეჯიბრების ჩატარება განზრახული იყო ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში, მაგრამ მოჭიდავეები დარბაზში რატომღაც არ შეუშვეს და წინადადება მისცეს თავიანთი ასპარეზობა ტრანსპორტის სამმართველოს სპორტულ დარბაზში ჩაეტარებინათ, ვერც აქ მოხერხდა ასპარეზობის დაწყება და, როგორც იქნა, შეჯიბრება დაიწყო სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ დარბაზში. თუ რა პირობებში უხდებოდათ სპორტსმენებს ჭიდაობა, საკმარისია ითქვას, რომ ეს დარბაზი საკმაოდ პატარაა, საჭიდაო ხალიჩები მიბჯენილია თითქმის ზედ კედლებთან, მაყურებელთათვის ადგილები არ არსებობს, არაა გასახდელი ოთახები და, რაც მთავარია, არ მუშაობს შხაპები. ისეთი სერიოზული ღონისძიების ჩატარება ამგვარ პირობებში, როგორიცაა რესპუბლიკური პირველობა, თავისუფალი ჭიდაობის შემდგომ განვითარებასა და პროპაგანდას უხერხო სამსახურის მეტს არაფერს უწევს. გარდა ამისა, შეჯიბრების ორგანიზატორებს ამ გაწამაწიაში ისიც დაავიწყდათ, რომ მოეწყოთ მისი საზეიმო გახსნა, დახურვა და ჩემპიონთა დაჯილდოება (?!).

ამგვარ შეჯიბრებათა ერთ-ერთი მთავარი მიზანია მასობრიობა—რომ მათში მონაწილეობდეს მოჭიდავეთა დიდი რაოდენობა, ამ ჩემპიონატზე კი სულ წარმოდგენილი იყო 69 მოჭიდავე. მთლიანი გუნდები მხოლოდ თბილისმა, ქუთაისმა, აჭარამ და გორმა წარმოადგინეს. მრავალმა რაიონმა საერთოდ არ გამოგზავნა თავისი წარმომადგენლები (საგარეჯო, სტალინირი, წყალტუბო, ონი და მრავალი სხვა), აფხაზეთში რატომღაც ვერ შეძლეს მთლიანი გუნდის დაკომპლექტება და მარტო 4 მოჭიდავე გამოგზავნეს. იგივე ითქმის რუსთავზეც. გარდა ამისა, განვლილ ჩემპიონატს ინტერესი დაუკარგა იმ გარემოებამაც, რომ ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი მოჭიდავეების უმრავლესობამ თავი აარიდა პირველობაში მონაწილეობას.

ახლა თვით შეჯიბრების შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ჩემპიონატზე მხოლოდ 4 სრულად დაკომპლექტებული გუნდი იყო წარმოდგენილი. თბილისელებმა შედარებით ადვილად აიღეს პირველი ადგილი (10 საჯარიმო ქულით), 20 საჯარიმო ქულით მეორე ადგილი მოიპოვეს ქუთაისელებმა, 23 საჯარიმო ქულით მესამე ადგილზე გავიდნენ აჭარის სპორტსმენები, ხოლო ბოლო ადგილი წილად ხვდათ გორელებს.

პირად პირველობაში უმჩატეს წონაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა აჭარის წარმომადგენელმა გ. გოგიჩაიშვილმა, რომელმაც წაუგებლად ჩაატარა შეხვედრები, II-III ადგილებზე შესაბამისად გამოვიდნენ თბილისელი მოჭიდავეები ა. მენაბდიშვილი და ს. რევიშვილი.

მჩატე წონაში პირველობა დაისაკუთრა ა. შეყრილაძემ (ქუთაისი), რომელსაც არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია. მან წმინდად მოუგო ლობჟანიძეს, თავბერიძეს, იმერლიშვილსა და კოზანოვს. ყველა ამ მოჭიდავესთან გამარჯვებაზე მას 13 წუთი და 45 წამი დასჭირდა. შემდგომი საპრიზო ადგილები წილად ხვდათ ქუთაისელ გ. იმერლიშვილსა და ბათუმელ ნ. თავბერიძეს. ქვემსუბუქ წონაში გაიმარჯვა ა. მარტიროსოვმა. მსუბუქ წონაში—ო. ოგანეზოვმა (თბილისი), საშუალოში — გ. თევზაძემ (თბილისი).

ქვემძიმე წონის მოჭიდავეებიდან თბილისელი შ. ლომაძე და ქუთაისელი გ. გობეჯიშვილი ფინალამდე წაუგებლად მივიდნენ. მათს შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა ჩემპიონის ბედი. შ. ლომაძეს მანამდე მეტი შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული და მას პირველ ადგილს ფრეც მოუტანდა. საერთოდ, ორივე მოჭიდავემ შეხვედრა უფერულად და პასიურად ჩაატარა და მსაჯები რატომღაც ძალზე ლიბერალურად მოეპყრნენ მათ. ორივე მოსახსნელი იყო შეჯიბრებიდან და ეს მათთვის კარგი გაკვეთილი იქნებოდა. საბოლოოდ აღინიშნა ფრე. მესამე ადგილი წილად ხვდა თბილისელ მაჟავარიანს. ყველაზე მცირე მონაწილე იყო მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის (სულ 4 კაცი?!). სპორტის ოსტატმა ნ. გოგიბედაშვილმა ადვილად სძლია მოწინააღმდეგეებს და I ადგილი დაიკავა.

ჯ. ენუქიძე

• • •

ხურათებზე: (მარცხნივ) — საქართველოს სსრ 1961 წლის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (მჩატე წონა) — ქუთაისელი ა. შეყრილაძე (დგას) მესამე საპრიზო ადგილზე გასულ ბათუმელ ნ. თავბერიძესთან ჭიდაობის დროს, (მარჯვნივ) — მეორე-მესამე საპრიზო ადგილების მფლობელების (საშუალო წონა) ი. ტუღუშისა (აჭარა) და ვ. კურტანაძის (რუსთავი) ორთაბრძოლის მომენტი.



საუკეთესო გუნდის გამოსავლინებლად

საბჭოთა კავშირის მოკრივეთა გუნდურ პირველობაში მონაწილე 8 ნაკრები გუნდიდან ოთხი მათგანი — — „დინამოს“, უკრაინის „ავანგარდის“, რსფსრ-ს „ტრუდისა“ და საბჭოთა არმიის მოკრივეთა კოლექტივები თბილისის სპორტის სასახლის რინგზე იბრძოდნენ ნახევარფინალში გასვლის უფლების მოსაპოვებლად.

სპორტის სასახლეში დამსწრე მრავალრიცხოვანი მაყურებელი მჭუხარე ტაშით მიესალმა საზეიმო ცერემონიალზე გამოსულ გუნდებს, რომელთა რიგებშიც იყვნენ ცნობილი ოსტატები, სსრ კავშირის, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონები: ა. ზასუხინი, ო. გრიგორიევი, ბ. ლაგუტინი, ა. აბრამოვი და სხვები.

... რინგზე უმჩატესი წონის მოკრივეები დინამოელი ვ. იავორსკი და ავანგარდელი ს. კონოვალოვი დარჩნენ. დაბალი ტანის ავანგარდელმა სპორტის ოსტატმა ბრძოლის კარგი გეგმა აირჩია. იგი ყოველ ხელსაყრელ მომენტში სწრაფად გადადიოდა კონტრშეტევაზე. განვლო სამმაგ რაუნდმა და მსაჯებმა მეტად სავეკვო გამარჯვება მიანიჭეს ვ. იავორსკის.

დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ჩემპიონისა და ევროპის პირველობის პრიზიორის ა. ზასუხინისა („დინამო“) და სპორტის ოსტატ ა. ბულანოვის („ავანგარდი“) შეხვედრამ. ეს უკანასკნელი არ შეუშინდა მოწინააღმდეგის ტიტულებს და შეიძლება ბრძოლის შედეგი სათუო გამხდარიყო, ბულანოვს რომ მეორე რაუნდში წარბი არ დაზიანებოდა.

ტექნიკის უპირატესობა ფიზიკურ ძალაზე თვალნათლივ გამოვლინდა მძიმე წონის მოკრივეების ი. ლანცერსისა („დინამო“) და ვ. ჩისტოვის („ავანგარდი“) შეხვედრაში, რინგზე გამოსვლის 14 წლის სტაჟმა და 218 ჩატარებული ბრძოლის გამოცდილებამ სსრკ პირველობის არაერთგზის პრიზიორ ი. ლანცერსს საშუალება მისცა ფიზიკურად მეტად ძლიერი ვ. ჩისტოვის უსისტემო შეტევები უვნებლეყო და ბრძოლა თვის სასარგებლოდ დაემთავრებინა.

ამ შეხვედრის შემდეგ, რომელიც ი. ლანცერსის გამარჯვებით დამთავრდა, „ავანგარდისა“ და „დინამოს“ გუნდების შეხვედრის ანგარიში გახდა 7:3 დინამოელთა სასარგებლოდ.

შეჯიბრების მეორე დღეს, „ტრუდისა“ და საბჭოთა არმიის ნაკრები გუნდების შეხვედრის დასაწყისში კრივის გამოცდილ სპეციალისტებსაც კი უჭირდათ სავარაუდო გამარჯვებულის დადგენა, ვინაიდან პირველის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონი ლ. შეიკმანი, საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი ბ. ლაგუტინი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ა. იზოსიმოვი და სხვები, არმიელთა რიგებში იბრძოდნენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ო. გრიგორიევი, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი გ. კოკოშკინი და ევროპის სამგზის ჩემპიონი ა. აბრამოვი.

უმჩატესი წონის მოკრივეთა შეხვედრამ პირველი ქულა „ტრუდს“ მოუტანა — ს. უტიაშევმა დაამარცხა ს. სოროკინი. ანგარიში გაათანაბრა ო. გრიგორიევმა, რომელსაც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ვ. პოლიაკოვმა. რინგზე გამოსული მეორე ქვესაშუალო წონის მოკრივეების — ლ. შეიკმანისა („ტრუდი“) და 20 წლის ვ. აგეევის შეხვედრაში სპეციალისტთა აზრით თითქოს ეჭვს არ იწვევდა პირველის გამარჯვება, მაგრამ მოხდა მოულოდნელი: შეიკმანმა უგულებელჰყო დაცვა და გონგის ნიშანზე შეტევაზე გადავიდა. თავდაცვის უგულებელყოფა საბედისწერო გამოდგა შეიკმანისათვის. აგეევმა სამჯერ გაგზავნა იგი ნოკდაუნში და გაიმარჯვა ქულებიც.

„ტრუდის“ მოკრივეთა გუნდს უკანასკნელი გამარჯვება მოუტანა პირველი საშუალო წონის მოკრივემ — საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონმა ბ. ლაგუტინმა, რომელმაც დაამარცხა ვ. არხიპოვი.

ფეხბურთელთა ენით: რომ ვთქვათ, „ცალ კარში“ თამაშს ჰგავდა მძიმე წონის მოკრივეების ა. აბრამოვისა და ა. იზოსიმოვის ბრძოლა. ევროპის ჩემპიონი მეთოდურად ავიწროებდა 22 კილოგრამით ნაკლები წონის, მაგრამ საკმაოდ მოძრავ მოწინააღმდეგეს. ბრძოლა აბრამოვის გამარჯვებით დამთავრდა.

შეხვედრის ანგარიშია 6:4 არმიელთა სასარგებლოდ. აქ ჩვენ ვიღაპარაკეთ ზრგიერთ ცალკეულ შეხვედრაზე: საერთოდ კი შეჯიბრება ჩატარდა ორგანიზებულად, მოელმა რიგმა ახალგაზრდა მოკრივეებმა აჩვენეს მზარდი ოსტატობა.

ა. ბაჟრაძე.

ხსრკ დამსახურებული მწვრთნელი,

ბ. ხამხონაძე.

• • •

ხურათზე: აბრამოვისა (მარცხნივ) და ა. იზოსიმოვის ბრძოლის მომენტი.

საგოლოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

ლივერპული. თავისი მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა აქ სსრ კავშირის ჩემპიონმა ფეხბურთში კიევის „დინამომ“. კიეველები შეხვდნენ ცნობილ პროფესიულ კლუბს „ევერტონს“, რომელიც ამჟამად ლიდერთა შორის იმყოფება ინგლისის ჩემპიონატში.

„ევერტონმა“ დაამარცხა კიევის „დინამო“ ანგარიშით 2:0.

• • •

პეკინი. როსტოვის არმიელ ფეხბურთელთა გუნდმა ორი მატჩი ჩაატარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. როსტოველებმა ანგარიშით 2:1 მოუგეს „1 აგვისტოს“ სახელობის გუნდს, მაგრამ დამარცხება განიცადეს პეკინის ნაკრებთან — 3:4.

• • •

ირანი. ამ ქვეყანაში თავისი გამოსვლები დაამთავრა ერევნის „სპარტაკმა“. ერევნელებმა თავიანთი ბოლო მატჩი მოუგეს თეირანის „თაჯს“ — 1:0.

წ ი ნ ა ე ი ი. კუპერმანი

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ჩატარდა 100-უჯრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონ ვ. შჩეგოლევისა და უოფილი ჩემპიონის — ი. კუპერმანის მატჩ-რევანშის პირველი ხამი პარტია.

I და II პარტიები ყაიმით დამთავრდა. III პარტიაში გაიმარჯვა კუპერმანმა. მატჩ-რევანშის ანგარიშია 2:1 კუპერმანის სასარგებლოდ.

მომდევნო ხუთი პარტია გაიმართება კიევში.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 186 (1822)

★

ამ დღეებში თბილისში გაიმართა იაპონელთა და საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების ამ ხანგრძლივი შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც მასპინძლებმა უპირატესობით აღნიშნა.

სურათებზე: (ზევით) ქვემძიმე წონის მოჭიდავე ფ. გველესიანი ილეთს უკეთებს მოწინააღმდეგეს. (ქვევით) იაპონელი მსაჯი წყვეტს ბრძოლას რამდენიმე წამით.

ფოტოები მ. ზარგარიანისა.

„რეკორდი“ ჩვენს ფეხთაღრიცხვამდე

მეტად საინტერესო წიგნი მიიღო ქართველმა მკითხველმა — ლენინური პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები“. წიგნში მოთხრობილია ძველი აღმოსავლეთის ხალხების — შუმერების, ბაბილონელების, ხეთების, ურარტუელების, სპარსელებისა და სხვათა ლურსმულ წარწერებზე, განხილულია მათი ამოხსნის თავისებურებანი და ისტორია, წარმოდგენილია ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობანი. ავტორს მოჰყავს რამდენიმე ლურსმული წარწერის ტექსტი, რომლებიც, სხვათაშორის, პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე.

წიგნი დიდი ინტერესით იკითხება. საგულისხმოა, რომ იგი სპორტის ისტორიის თვალსაზრისითაც მეტად დიდ ინტერესს წარმოადგენს, რამდენადაც ავტორი ცალკე გამოყოფს ქვეთავს — „ურარტუს მეფეთა სპორტული მიღწევების აღსანიშნავად ამოკვეთილი წარწერები“.

მთლიანად მოგვყავს ეს ქვეთავი:

„საინტერესოა, რომ ურარტუდან ჩვენამდე მოაღწია ლურსმულმა წარწერებმა, სადაც ურარტუს მეფეების, ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, სპორტული წარმატებებია აღნუსხული. ერთი ასეთი წარწერა, რომელიც მეფე მენუას (810–786) ეკუთვნის, თბილისში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. წარწერა ამოკვეთილია ბაზალტის ქვის სტელის ორივე მხარეზე. სტელა ნაპოვნია ურარტუს ცენტრალურ ნაწილში. იგი ჩატანებული ყოფილა ქალაქ ვანის აღმოსავლეთით მდებარე სოფელ სიკეხის ეკლესიის კედელში. აქედან ეს ქვა წამოუღიათ თბილისში და „კავკასიის მუზეუმში“ მოუთავსებიათ. წარწერაში ნათქვამია:

„ღვთაება ხალდის ძალით მენუა იშფუნის-ძე ამბობს: ამ ადგილიდან ცხენი, სახელად არციბი, რომელზედაც მენუა მეფე იჯდა, გადახტა 22 წყართის მანძილზე.

მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას თავის ადგილს მოაშორებს, დაე, მოსპონ იგი, მისი ოჯახი და მისი შთამომავლობა მზის ქვეშ (ე. ი. დედამიწაზე) ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თეიშებამ, ღვთაება შივინიმ“.

ურარტული სიგრძის ზომა „წყართა“ უდრიდა 51–52 სმ-ს. ასე, რომ, 22 წყართა, რომელზედაც გადამხტარა მეფე მენუას ცხენი, დაახლოებით 11 მეტრსა დ 20 სანტიმეტრს შეადგენს. თანამედროვე საცხენოსნო სპორტში შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობაა ცხენით გადახტომა წყლით სავსე არხზე. შეჯიბრების ამ სახეობაშიც ხდება მსოფლიო რეკორდის ფიქსირება. მსოფლიო რეკორდი აქ ეკუთვნის ერთ-ერთ ინგლისელ სპორტს მენს, რომელის ცხენ[illegible] 11 მ. და 40 სმ-ზე გადახტარა. როგორც ვხედავთ, მეფე მენუას სპორტული [illegible] — [illegible] ჩამორჩება [illegible] — [illegible] [illegible] — [illegible] [illegible] — [illegible]